

ა. შანიძე და ა. ბაკაშიძე

საქართველოს მუზეუმის § ფონდის აღწერილ ხელნაწერთა საძიებელი

წინასიტყვაობა

ისტორიული წარსულის ჯეროვანი შესწავლისათვის უაღრესი მნიშვნელობა აქვს, სხვათა შორის, ხელნაწერთა მეცნიერულ აღწერილობასაც. ქართული ხელნაწერების კოლექციებიდან ან მათი ნაწილებიდან, სამწუხაროდ, ზოგი ჯერ კიდევ აუწერელია (მაგ. ხელნაწერები ყოფ. საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისა, ქუთ. სამხარეთმცოდნეობისა და სხვ.), ზოგი აღწერილია, მაგრამ მოკლედ (მაგ. იერუსალიმის ხელნაწერები), ზოგიც თუმცა ვრცლად არის აღწერილი, მაგრამ აღწერილობა ჯერ გამოუქვეყნებელია (ასეთია, მაგ., სინას მთის ქართ. ხელნაწერები, რომელთა ვრცელი აღწერილობა შეადგინეს აკად. ნ. მარმა და აკად. ი. ჯავახიშვილმა აღმოსავლეთში მიეღინების დროს 1902 წელს)¹. ქართულ ხელნაწერთა კოლექციების მდგომარეობა ამ მხრივ საერთოდ ძალიან ქრელ სურათს წარმოადგენს².

¹ ნ. მარმის მიერ შესრულებული ნაწილი იბეჭდებოდა ლენინგრადში ამ უკანასკნელ წლებში და მისი ბეჭდვა თითქმის დასრულდა, მაგრამ ჯერ წიგნი არ გამოქვეყნებულა.

² ქართ. ხელნაწერების აღწერილობათა მიმოხილვა მოიპოვება პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგის ნაშრომში: „მასალები ქართულ ხელნაწერთა კატალოგების ბიბლიოგრაფიისათვის“ (=მასალები ამიერკავკასიის ბიბლიოგრაფიის ბიბლიოგრაფიისათვის II—III), თბ. 1938 წ.

(ამ ბროშურაში მოცემულ სიას უნდა დაემატოს „ქართულ ბიბლიოგრაფიაში“ (გამოვიდა 1916 წელს პეტროგრადში) შესული ცნობები ცალკეული ხელნაწერებისა და კოლექციების შესახებ (ნახ. გვ. 155, „ხელნაწერები“) და H. Schardt, Georgische Handschriften in Torre del Greco (Beilage zur Allgemeinen Zeitung, 1896, № 101).

ქართულ ხელნაწერთა კოლექციებს შორის მეტად საპატიო ადგილი უჭირავს, უთუოდ, ყოფ. წერა-კითხვის საზოგადოების მუზეუმის ხელნაწერთა კოლექციას, რომელიც ამჟამად მთლიანად საქართველოს მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაშია შესული და ამ განყოფილების ერთ-ერთ ძირითად ფონდს შეადგენს (აღინიშნება 5 ლიტერით). ამ კოლექციაში მრავლად მოიპოვება მეტისმეტად ძვირფასი ხელნაწერები ეტრატზე და ქალაღზე, რომელთაგანაც, მაგალითისათვის, შეიძლება დავასახელოთ განთქმული შატბერდის კრებული X საუკუნისა, სამკურნალო ენციკლოპედია („წიგნი სააქიმოჲ“), სპარსულიდან გადმოთარგმნილი თამარ მეფის დროს და სხვ. ამ კოლექციის სისტემატურ აღწერას შეუდგა ისტორიკოსი ე. თაყაიშვილი, რომელსაც პირველად განზრახული ჰქონდა ხელნაწერები ქართულად აეწერა. მან დაბეჭდა კიდევ რამდენიმე ხელნაწერის აღწერილობა „ივერიაში“ 1890 წელს¹. მაგრამ შემდგომ იმ მიზნით, რომ ეს იშვიათი საგანძური ხელმისაწვდომი გამხდარიყო უფრო ფართო სამეცნიერო წრეებისათვის, ავტორი შეუდგა აღწერას რუსულ ენაზე. აღწერილობა იბეჭდებოდა ნაწილ-ნაწილად 1902 წლიდან 1912 წლამდე ყოფ. კავკასიის სასწავლო ოლქის ორგანოში: Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа (ნვ. 31, 32, 33, 34, 36, 37, 39, 40, 41, 42). ჟურნალიდან ამონაბეჭდები რვა ნაკვეთად იქნა გამოშვებული, რომელთაც ერთად შეკვრისას შეადგინეს ორი მოზრდილი ტომი, რომელთაც თავ-თავისი პაგინაცია აქვთ: Е. Такайшвили, Описание рукописей „Общества распространения грамотности среди грузинского населения“, т. I, вып. 1-4, Тбилиси, 1902—1904, IV+726 стр.; т. II, вып. 1-4, Тбилиси, 1906—1912. 820+II стр. Изд. Управления Кавказского Учебного Округа. პირველ ტომში შევიდა 1902-1904 წლებში დაბეჭდილი მასალა, მეორე ტომში კი—1906-1912 წლებში დაბეჭდილი. პირველ ტომს ავტორის წინასიტყვაობა აქვს წამძღვარებული და ორივე მათგანს კი დართული აქვს ბოლოში კორექტურული შეცდომების გასწორება.

ხსენებულ ორ ტომში აწერილია სულ 447 ხელნაწერი², რომელთაგანაც ბევრი კრებულებს წარმოადგენს. თუ არ მივიღებთ

¹ ე. თაყაიშვილი, აღწერა ხელნაწერთა „წერა-კითხვის გამავრცელ. საზოგ. წიგნთსაცავისა (ივერია“ 1890, №№ 3, 4, 6, 8, 9, 11, 13, 14, 15, 20, 28, 29, 46, 57, 58, 89 და სხვ.).

² უკანასკნელ ნომრად 446 ხის. მაგრამ ერთგან სათვალავში შეცდომა მოხსულია ავტორის: გამოვრებულია ორი ნომერი (82 და 83). სამაგიეროდ ერთი ხელნაწერი (№ 4545) ორჯერ აუწერია (391, 407).

მხედველობაში რამდენიმე ხელნაწერს, რომლებიც სხვა საგანძურებისა და კერძო პირთა კუთვნილება იყო¹ და ამ აღწერილობაში შესადაარებლად არის მოქცეული, ეს არის ნაწილი ყოფ. წერა-კითხვის საზოგადოების მუზეუმის ხელნაწერთა კოლექციისა, მაგრამ ამ ნაწილში მოქცეულია ძალიან მნიშვნელოვანი ხელნაწერები (ქართლის ცხოვრების ნუსხები, ვეფხისტყაოსნები, ძველი კარაბადინები, შატბერდისა და კელიშის ნუსხები ქართლის მოქცევისა და სხვ.).

პირველად ავტორი თქვამდა ხელნაწერები აეწერა მათი ნომრების რიგის მიხედვით და ეს კიდევ გაატარა მან თავიდან 29 ნომრამდის; მაგრამ, ასე რომ განეგრძო ბოლომდის, მას მრავალგანგანგებობა დასკირდებოდა და დიდი უხერხულობა იქნებოდა მკითხველისათვის, რადგანაც ასეთ შემთხვევაში ერთისა და იმავე შინაარსის ხელნაწერების აღწერილობა სხვადასხვა ადგილას მოხედებოდა. ეს ნაკლი, აღწერილობის უდაო ღირსებებთან ერთად, აღნიშნა კრიტიკამ² და ამის შემდგომ ავტორი გადავიდა ერთგვარი ხელნაწერების ერთად აღწერის მეთოდზე (თავი მოუყარა ერთად კარაბადინებს, ვეფხისტყაოსნებს, როსტომიანებს, ქილილა და დამას³ ხელნაწერებს და სხვ.), რამაც ავტორს ააცილა განმეორებანი დას ერთბაშად ასწია ნაშრომის ღირსება.

ავტორს განზრახული ჰქონდა, რომ, როცა მთელი კოლექციის აღწერას მოჰჩებოდა, საძიებლები დაერთო უკანასკნელი ტომისათვის⁴, მაგრამ აღწერილობის ბეჭდვა მეორე ტომზე შეწყდა და ამიტომ საძიებლების საკითხი გაურკვეველი დროსთვის გადაიდო. ორ დაბეჭდილ ტომში შესული მასალა კი იმდენად მრავალფეროვანია და მნიშვნელოვანი, რომ მისი გვერდის ახვევა ყოვლად შეუძლებელია ჩვენი წარსულის მკვლევართათვის. საძიებლების უქონლობა ძალიან აფერხებდა და აფერხებს ადვილად გამოყენებას იმ უამრავი ცნობისას, რომლებიც მოიპოვება შიგ ავტორებისა, მთარგმნელებისა, გადამწერლებისა და თხზულებათა შესახებ. ეს მწვავედ ვიგრძენი კიდევ 1916 წელს, როდესაც მე ლენინგრადის (მაშინ პეტროგრადის) საჯარო წიგნთსაცავში (რომელიც ამჟამად სალტიკოვ-შჩედრინის სახელს ატარებს), ხელნაწერთა განყოფილებაში, ქართული კოლექციების ვრცელ აღწერაზე ვმუშაობდი. ხშირად მიხდებოდა

¹ ამის შესახებ ნახე გვ. 13.

² Н. Марр, Зап. Вост. Отд. Рус. Арх. Общ., т. XV (1902—1903).
И. Джавахишвили, Визант. Временник, т. XI (1904), отд. II, стр. 347—349.

³ ნახე წინასიტყვაობა პირველი ტომისა, გვ. II.

იქაური ხელნაწერების შინაარსის შედარება თბილისური ხელნაწერებისასთან და ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ს ო რ - ტ ო მ ი ა ნ ი ა ლ წ ე რ ი ლ ო ბ ი ს ფურცვლა. ამ გარემოებამ მაიძულა, შემედგინა მაშინ ჩემი პირადი საკიროებისათვის საძიებელი II ტომისა, რადგანაც I ტომის საძიებლის მაგივრობის გაწევა რამდენადმე ნ. მ ა რ ი ს რ ე ც ე ნ ზ ი ა შ ი მ ო ც ე მ უ ლ ნ უ ს ხ ა ს შეეძლო¹.

ჩემ მიერ შედგენილი საძიებლით რამდენადმე სხვა სპეციალისტებიც სარგებლობდნენ საკიროების მიხედვით, მაგრამ, რომ იგი ყველასთვის ხელმისაწვდომი და გამოსადეგი ყოფილიყო, განვიზრახე დაბეჭდვა. თუ დაიბეჭდებოდა, რა თქმა უნდა, მას აუცილებლად უნდა დაჰართოდა I ტომის საძიებელიც. ამ ტომის საძიებლის შედგენა, ჩემი თხოვნით, იკისრა 1932 წელს პროფ. ა. ბ ა რ ა მ ი ძ ე მ, რომელმაც ამასთანავე ერთად II ტომის საძიებელიც შეამოწმა. ამგვარად წარმოიშვა ეს პატარა წიგნაკი, რომელიც აუცილებელი დასატებაა წერა-კითხვის საზოგადოებისეულ ხელნაწერთა აღწერილობისა.

უკანასკნელ ორიოდ სიტყვა საძიებლის სარგებლობისათვის.

საძიებელში ცნობები მოცემულია ორმაგად: აღწერილობის ნომრებისა და სათანადო ტომის გვერდების მიხედვით, მაგრამ ისე, რომ ჯერ ნაჩვენებია აღწერილობის ნომერი, შემდეგ კი—ტომი და გვერდი ფრჩხილებში (ტომი დიდი ციფრებით არის აღნიშნული, გვერდი კი მომცროთი); მაგ., შ. რუსთველის შესახებ ნაჩვენებია, სხვათა შორის, ასე: 88 (1, 566), რაიცა ამას ნიშნავს: რუსთველის შესახებ ცნობა მოიპოვება 88 ნომრად აღწერილ ხელნაწერში, პირველი ტომის 566 გვერდზე.

თუ ხელნაწერი წარმოადგენს კრებულს, აღწერილობის ნომერთან ერთად მომცრო ციფრით აღნიშნულია განყოფილება, სადაც სათანადო ცნობა მოიპოვება. მაგ., თეიმურაზ I-ის „ვარდ-ბულბულიანის“ ერთი ნუსხა ასეა ნაჩვენები; 43,4 (1, 301) და ეს ამას ნიშნავს: აღნიშნული თხზულება მოიპოვება კრებულში, რომელიც 43 ნომრად არის აღწერილი, მეოთხე ადგილას (ჩარ-დავრიშინი, სარკე თქმულთა, შაჰ-აბასის შესხმა, ვ ა რ დ - ბ უ ლ ბ უ ლ ი ა ნ ი, ო მ ა ი ნ ი ა ნ ი, არაკები ქილილა და დამანადან). ფრჩხილებში ჩასმული ციფრები

¹ Н. Марр. Отъвъ о сочинении Е. С. Такайшвили, Описание рукописей „Общества распространения грамотности среди грузинского населения“ (Сборник отчетов о премиях и наградах Акад. Наук за 1907 г. СПб. 1908. стр. 176—204).

მიგვითითებს, რომ აღწერილობის ნაწილი, რომელიც ვარდ-ბულბულიანს შეეხება, I ტომის 301 გვერდზეა მოთავსებული.

შეიძლება ვისმე არა ჰქონდეს ცალკე ამონაბეჭდებისაგან შედგენილი ტომები, რომელთაც ერთიანი პაგინაცია აქვს თვითიული ტომის ფარგალში და ამის გამო იძულებული იყოს უშუალოდ *Список*'ს შიშართოს, ან ცალკეულ ამონაბეჭდებს იქედან. ამ შემთხვევაში მას, რასაკვირველია, ამ საძიებლიდან მხოლოდ აღწერილობის რიგის ნომერი გამოადგება, და არა ტომის გვერდი, რომელიც ფრჩხილებშია ჩასმული. *Список*-ში კი აღწერილობა ასეთი თანამიმდევრობით დაიბეჭდა:

ცალკე გამოცემის I ტომში შესული მასალა

ტ. 31 №№	1	24
„ 32 „ „	25	— 73
„ 33 „ „	74	— 87
„ 34 „ „	88	- 129

ცალკე გამოცემის II ტომში შესული მასალა

ტ. 36 №№	130	--- 134
„ 37 „ „	135	182
„ 39 „ „	183	337
„ 40 „ „	338	— 389
„ 41 „ „	390	— 431 ¹
„ 42 „ „	439 ²	- 446

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, 30 ნომრის შემდეგ ერთგვარი ხელნაწერები ერთად არის განხილული. ამიტომ, ამ ნომრიდან მოყოლებული, აღწერილობის ნომერი (ორიოდე გამონაკლისს გარდა) აღარ ჰხვდება ხელნაწერის საკუთარ ნომერს, რომლითაც ის სამუზეუმო ქონების წიგნშია შეტანილი. რომ ნათელი ყოფილიყო, თუ რადარა ხელნაწერია აღწერილი კოლექციიდან, საძიებელს წინ წაუვუმძღვარეთ სია იმ ნომრებისა, რომლებიც აღწერილობაში შევიდა. ამ ნაწილში² პირველი რიცხვი აღნიშნავს ხელნაწერის ნომერს.

¹ 439 ნომრად აღწერილია კელიშის ხელნაწერი, რომელშიაც ქართლის მოქცევის სხვანაირი რედაქციაა შემონახული. ეს რედაქცია გამოცემულია შატბერდულ რედაქციასთან შედარებით. ერთი ნაწილი ამ გამოცემისა *Список*-ის 41-ე ტომშია შესული და მეორე ნაწილი - 42-ე ტომში.

² ეს ნაწილი გააკეთა დოც. ივ. გიგინეიშვილმა, მანვე გამართა ხელნაწერი სასტამბოდ.

მეორე რიცხვი კი აღწერილობის რიგს. ადვილად მონახვის მიზნით ნომრები თვითთული ასეულის ფარგალში ცალკე აბზაცებად არის გამოყოფილი; მაგ.. 3346 (97) ამას ნიშნავს: საქართველოს მუზეუმის ხელნაწერი წერა-კითხვის საზოგადოების მუზეუმის ფონდიდან S 3346, რომელიც თეოდორე სალოსის წიგნს წარმოადგენს, აწერილია 97 ნომრად.

ამ საძიებლის ბედმა ეგების სხვა მკვლევრები დააფიქროს. უნდა ივარაუდონ, რომ საზოგადოდ სჯობს, რომ გამოკვლევის ყოველ ტყმს გამოსვლის თანავე გაუკეთდეს თავისი საძიებელი.

ა. შანიძე

4.IX.1939
ქ. თბილისს
